№ 80 24 თიბათვე, პარასკევი 1866–1877 24 თიბათვე, პარასკევი № 80

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მ.ნ., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდის ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

რომელიც **პირველი ივნისიდამ ყოველ დღე** გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში.

**ფასი გაზეთისა ამ 1 ივნისიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდე—5 მან.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

---

**უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ სრულად არ შემოუტანიათ, გამოგზავნონ რედაქციაში.**

**ამ თხოვნას ვუმეორებთ აგრეთვე იმ ჩვენს აგენტებსაც, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ.**

**ვინც ივნისის განმავალობაში მთელი წლის ფულს არ წარმოადგენს, 1 ივლისიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.**

## ტელეგრამმები

(ოფიციალური)

### ბრძოლის ველიდამ

**ზიმნიცა,** 20 ივნისს. ხიდი მზათ არის დუნაიზე; ჯარი დაუბრკოლებლივ გადადის ამ ხიდზე. 16 ივნისის შემდეგ ოსმალოებმა ტირნოვოსა და რუსჩუკში დაიწყეს. რუსჩუკისა და ნიკოპოლის ზოგიერთი უბნები ჩვენი ყუმბარებისაგან დაიწვა.

---

**პარიჟი,** 20 ივნისს. (2 ივლ.) ლონშანის მინდორზე ჯარის დახედვის შემდეგ, პრეზიდენტმა მაკ-მაჰონმა მიმართა ჯარს წიგნით, რომელშიაც ის აქებს ჯარს კარგათ თავის დაჭერისა და სამხედრო ვარჯიშობის ცოდნისათვის და შემდეგ ამბობს, რომ იმას იმედი აქვს, რომ ჯარი დაეხმარება არსებული კანონებისა და დაწესებაების დაცვაში და აგრეთვე იმ მოვალეობის ბოლომდინ შესრულებაში რომელიც მიანდო მას ნაციონალურმა კრებამ.

**ალექსანდრია,** (ეგვიპტე) 20 ივნისს. გერმანიის ესკადრა (სამხედრო ფლოტი) პორტ-საიდში მივიდა.

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

მკითხველმა იცის, რომ იმ შეტაკების შემდეგ, რომელიც ამ თვის 11-სა და 12-ს ჰქონდა რიონისა და ქობულეთის ატრიადს ციხის-ძირში გამაგრებულ ოსმალოს ჯართან, ეს ჩვენი ატრიადები სამებიდამ, ხუც-უბნიდამ და ქინტრიშის ხეობიდამ დაბრუნდა და ამ ჟამად მუხა-ესტატეში არის დაბანაკებული.

ამნაირად ციხის-ძირს ჩვენი ჯარი აღარ მიადგება ასაღებათ და რიონისა და ქობულეთის ატრიადის დანიშნულება მხოლოთ ის იქნება, რომ რუსეთის საქართველოში (გურიაში და იმერეთში) არ შემოუშვას მტერი. უეჭველია, რომ ამ დანიშნულებას ჩვენი ატრიადები ადვილად აასრულებენ, რადგან მუხა-ესტატე, როგორც ამბობენ, ძალიან კარგათ არის გამაგრებულიო და იმას არ გამოაცილებენ მტერსაო.

ღენერალი ალხაზოვიც, როგორც გვწერენ, მარჯვეთ მოქმედებს, თურმე სოხუმის მაზრაში; მაშასადამე ამ მხრი-

---

## ფელეტონი

### ლეგენდა ამირანზე

ქართლში, კახეთში, იმერეთში და ნამეტნავად მთის ხალხებში ისე კაცს ვერ შეხვდებით, რომ ამირანზე რამე ზღაპრისებრივი ამბები არ იცოდნენ და ხშირათ ერთმანეთში არ იგონებდნენ მის სიყოჩაღეს, მის დროს და მის ქვეყნის სიმუდარესა და მრავალს სხვა საშიშარს ამბებსა.

— აი, დიდი-ხუთშაბათი ახლოვდება და უბედურება იქნება, თუ ამირანმა ჯაჭვი აწყვიტა, სწორეთ რომ ქვეყანას დალუპამსო და დედაკაცებსა, მჭედლებსა და დალაქებსა სრულებით დახოცავსო!

და ვინ არის ეს დაუვიწყარი ხალხის გმირი, რომლის სახელიც ასე ხშირად და მთელს საქართველოში მოფენილია და რომლისთვისაც ასეთი დაუვიწყარი ძეგლი აუგიათ?

ნამდვილად ჩვენ ამ გმირზე არა ვიცით-რა. ბევრს ამაზე უკეთესს გმირებსა და მოვლენათ წაშლიათ კვალი და დავიწყებია ჩვენ ხალხსა.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ—რაც ხალხში გამიგონია მე ამირანზე.

ხალხი ლაპარაკობს, რომ ამირანი ქრისტესაგან მონათლული ყოფილა და როდესაც გაზდილა, ისეთი ჯანიანი და ახოვანი შექმნილა, რომ იმისი ცალი თურმე იმის დროს არავინ იყო მთელს საქართველოში და ქება მისი მთელ აღმოსავლეთის მხარეში მოფენილი იყოვო. აი ეს მასზე გამოღებული ლექსი, რომელსაც დღემდინ ჩვენი მდაბიო ხალხი მღერობს; იქნება ამ ლექსსა თავი ან ბოლო აკლდეს:

ამირანის მთაზედა
ქაცი იჯდა ქვაზედა;
ამირანმა შაუბერა
სთხლიშა იალბუზ მთაზედა.
ამირანმა წიხლი ჰკრა
მთა მიარტყა მთაზედა!
ამირანმა თათრის ჯარი
ხოცა ზღვისა მხარზედა.

ბევრ ალაგას ბევრი ფალავნებისთვის მოუჭრია თავი და ბევრჯელ დაუკუწამს თავის მეფისა და სახელმწიფოს მტერი.

ერთხელ ამირანი ადგა თურმე, შეიმოსა იარაღში, გაიკეთა მშვილდ-ისარი, მოემზადა საცალა წასასვლელად და წავიდა და თანაც გაიყოლია თავისი შინაური ფინია. იარა, იარა თურმე და ერთ ალაგას ერთი მოხუცებული კაცი შეხვედრია. ამირანს რომ დაუნახავს ეს კაცი, ძალიან გაჰკვირვებია—თუ ამ საშიშარ და ტრიალ და ღრიალ ალაგებში როგორ დადის მარტოკაო; ამ ფიქრზე მოხუცმა გამარჯობა დაუყვირა და ჰკითხა:

— შენ ვინა ბძანდები?

თაც სამეგრელოზე ოსმალების დაცემის არ უნდა გვეშინოდეს, თუ ერთობ დიდი ჯარი არ გამოიყვანა სოხუმში ოსმალომ ხმელეთზე.

—

სტამბოლში გამოცხადებულია შემდეგი დეპეშა ტრაპიზონის ღუბერნატორის დერვიშ-ფაშისა იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც 11-სა და 12-სა ჰქონდათ ციხის-ძირთან ოსმალოებსა და ჩვენ ჯარს:

„გუშინ, 11 ივნისს, რუსის ჯარები დაგვეცნენ ჩვენ ბათუმის მახლობლად, ციხის-ძირის სიმაგრეზე; მაგრამ, ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა უკუაქცია რუსები, რომელთ მხრითაც 1,000 კაცამდინ არის მოკლული და დაჭრილი; ჩვენის მხრით კი 60 კაცი დაიხოცა და 150 დაჭრილია. მეორე დღეს ჩვენ დავეცით რუსის ჯარს, სამების სიმაღლეებზე დაბანაკებულს, და ამ დღესაც დიდი ზიანი მივეცით. ამ ორი დღის განმავალობაში რუსების მხრით უკანასკნელი 1,500 კაცი იქნება მოკლული და დაჭრილი."

—

„რეიტერის აგენტობა" (ლონდონის) გვაცნობებს, რომ ამ თვის 9-სა და 10-ს აზრუმისაკენ ფიცხელი შეტაკება იყო ოსმალოს და რუსის ჯარს შუაო და რუსის ჯარი იძულებული იყო, რომ ზეიდექიანში დაბრუნებულიყოვო. ორივე მხარეს ამ შეტაკებების დროს დიდძალი ზიანი მიეცათო.

—

„ვოლფის აგენტობაში"(ბერლინის)დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა მცირე აზიის ბრძოლის ველიდამ მიღებული მუხთარ-ფაშისაგან:

„ამ თვის 9-ს ჩვენმა ჯარმა ალბაზთან დაამარცხა რუსები. ოც-და-ცამეტი საათის განმავალობაში იყო აქ ბრძოლა, რომლის შემდეგაც რუსებმა უკან დაიწიეს, ვანის ტბისაკენ. ყარსიდამაც კარგი ამბები მოდის; რამდენჯერმე გამოსულა ყარსის გარნიზონი და დაუმარცხებია აქ დაბანაკებული რუსის ჯარი."

—

ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ზეიდექანთან ბრძოლის დროს, 4 ივნისს, ოსმალოების მხრით, ბრძოლის ველზე 12,000 კაცი იყოვო, რუსები კი 20,000 კაციო. ოსმალოები ძალიან მარჯვედ იბრძონდნენ; მაგრამ, ომის დაწყებისათანავე იმათი სარდალი მეჰმედ-ფაშა მოკლეს და ამ გარემოებამ დააწევინა ჯარს უკანაო. ამ ბრძოლაში ორივეს მხრით ბლომათ დაიხოცნენო; რუსებს დარჩათ ბრძოლის ველზედ 800 კაცი დახოცილი და მძიმედ დაჭრილიო.

—

სტამბოლიდამ 10-ს ივნისს გამოგზავნილი და ინგლისურს გაზეთს „Daily News"-ში დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ 8 ივნისს მარჯვენა მხარე მუხთარ-ფაშის არმიისა დელი-ბაბასთან იყო დაბანაკებულიო. ამავე გაზეთის სიტყვით, ზეიდექანთან ბრძოლის დროს ინგლისის ღენერალი კემბალი და კაპიტანი ნორმანი სრულებით არც დაჭრილან, არათუ მოკლულანო. მართალია, ბრძოლის დროს, ისინი ოსმალოს შუა ჯარში იდგნენო და ამ ჯარის უკან დაწევისათანავე რუსის ცხენოსანმა ყაზახებმა ბევრი სდიეს იმათ, მაგრამ ვერ დაიჭირეს, გაიქცნენო.

—

არზრუმიდამ გაზეთს „Indépendance Belge"-ში იწერებიან, რომ ბაიაზეთი დაჭერილია ხელ-მეორეთ ოსმალოებისაგანო. რუსების ჯარის მარცხენა მხარეს შეკრული აქვს გზა ოსმალების ჯარის მარჯვენა მხრისაგან დელიბაბაშიო.

—

იმავე გაზეთში სწერენ, რომ რუსები უკან იწევენ ყარსისკენ. ყარსის ჯარებმა რამდენიმეჯერ დაანგრიეს რუსების ბატარეიები და გამოვიდნენ ციხის გარეთ და საზოგადოთ ძალიან ფიცხელათ ომობენო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

პირველს დღეს, როდესაც რუსის ჯარი ბრაილოვიდამ მაჩინში გადავიდა დუნაიზე, ამ ჯარის მხრით 200 კაცი ყოფილა მძიმედ დაჭრილი და 50 მოკლული, რომელთ რიცხვში 7 აფიცერი.

ბრაილოვიდამ 10-სა და 11-ს რვა ათასი რუსის ჯარი გადასულა, ზოგი ახლად გაგებულ ხიდითა და მომეტებული ნაწილი კი ნავებით და დიდი პარომებით; ცხენები და ზარბაზნებიც აგრეთვე პარომებით გაუტანიათ.

—

ბრაილოვს გარდა, რუსის ჯარი სისტოვოსთან გადავიდა ზიმნიციდამ; ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ 15 ივნისს სისტოვოსთან 35,000 რუსის ჯარი იყო გადასული დუნაიზედაო და ამ ჟამადაც აქ და სხვა ალაგებშიაც კიდევ ემზადებიან გადასვლასაო.

—

ბრაილოვთან გადასული რუსის ჯარი ჩერნოვოდს არ გასცილებია ჯერ; აქ,

---

— ამირანი ვარო — დაუყვირა თურმე ამირანმა.

— მერე აქეთ რა საქმე გქონია, რომ წამოსულხარ?

— აქეთ იმიტომ წამოველი, რომ მინდა უფალი ვნახო, რადგანაც იესო ქრისტეს ჩემზე ღონიერს იძახიან და ერთი უნდა ვნახო, რომ გამოვსცადო: მე უფრო ღონიერი ვარ, თუ ის?

— აქ მოდი, უთხრა მოხუცმა, მე ერთ რამეს გეტყვი, თუ იმას შეასრულებ, მაშინ იმედით იყავ, რომ მეერევი იესო ქრისტეს! აბა მშვილდ-ისარი და იარაღი მაიხსენი და აი ამ პატარა ხეს დედა-მიწაში ჩავფლავ და თუ ამოაძრობ, მაშინ იცოდე, რომ მეერევი.

ამ სიტყვებით ჩაურჭო მოხუცმა ხე. ამირანი დასწვდა და ვერ ამოაძრო. მოხუცმა გადასწერა პირჯვარი და თავის ჯაჭვით მიაბა იმ ხეზე და მას აქეთ ამირანი დღემდინაც კი მიკრული არის. იქა და თავის ფინიაც გვერდით უზის, იმის ხმალიც და იარაღიც იქვე აწყვია.

მას დღეს შემდეგ დაუწყვია ლოკვა და ლოკამს თურმე იმ ჯაჭვსა ისე, რომ წლის განმავლობაში იმ ჯაჭვს ლოკით ისე დააწმინდავებს, რომ გაწყვეტა ადვილი შესაძლებელია; მაგრამ დიდ-ხუთშაფათს, მჭედელი რომ ჩაქუჩს დაჰკრავს, მაშინათვე ის ჯაჭვი ისევ ისე სქელდება და თუ აიწყვიტა, დედაკაცებს და მჭედლებს გასწყვიტამს: დედაკაცებს მისთვის, რომა, ერთი კაცი ამირანთან ახლო მისულა, ამირანს უთხოვნია იმ კაცისთვის — რომ წადი, ერთი შენი სახლიდამ საბელი მომიტანე, და თუ დედაკაცმა ყვირილი დაგიწყოს, უკან არ მიიხედო; მაგრამ როცა საბელი შინიდამ წამოუღია, დედაკაცი დასდევნებია — თუ კაცო, სად მიხვალ, მოდი შინ, ყმაწვილი გიკვდებაო; მიუხედნია უკან კაცსა და დედაკაცს შეუცინია და უკითხამს: საბელი სად მიგაქვსო? კაცს ხმა არ გაუცია, მაგრამ იმ საბელს ამირანისთვის ველარა უშველია და მისთვის ემტერება თურმე მას შემდეგ ამირანი დედაკაცებსა.

მჭედელსაც მისთვის ემტერება, რომ დიდ-ხუთშაფათს ადრიან კვერსა ჰკრამენ და იმ წამსვე ის ჯაჭვი, რომლითაც ამირანი დაბმულია, ხელ-ახლად სქელდება და ამირანს ვერას გზით ვერ გაუწყვეტნია.

აი, სულ ეს გამიგონია ჩვენ ხალხში ამირანზედ, და იქნება ამაზე ვრცელი და უფრო სხვაც რამ იყოს ამირანზე დარჩენილი ჩვენს სხვა და სხვა თემის ხალხში.

ვინ არის ეს ამირანი, ანუ სად არის დაბმული — ეს ხალხის ნაამბობში არ გამიგონია; მხოლოთ ხალხი იძახის, რომ იალბუზის მთაზედ არის დაბმულიო.

ზ. მთაწმინდელი

ჩერნოვოდიდამ კუსტენჯამდინ (დუნაიდამ შავ ზღვამდინ), ამბობენ ოსმალები რკინის გზის დაყოლებლივ სიმაგრეებს ამზადებენ და განზრახვა აქვთ, რომ აქ შეეტაკონ რუსის ჯარსაო. მთელი ამ ლინიის დაცვა ოსმალოს ღენერალს ფახრიბეის აქვს თურმე მინდობილი.

კუსტენჯის ნავსადგურში ოსმალოს სამხედრო ხომალდები მოსულან.

—

დუნაის ფლოტის უფროსად ოსმალოს სამხედრო მთავრობას, არიფ-ფაშის მაგივრად, ჰაჯი-ახმედ-ვესიმ-ფაშა დაუნიშნავს.

—

ვარნას ციხეში ახლად მოსული ეგვიპტეს ჯარი შესდგება 4,500 ქვეითა კაცისაგან და 1000 ცხენოსნისაგან. ამ ჯარის უფროსად, როგორც იცით, ეგვიპტეს პრინცი ჰასან-ბეი არის დანიშნული. ეგვიპტეს ქედივმა გამოატანა ამ ჯარს 5,000 ახალი სისტემის მსწრაფლ-მსროლელი თოფი.

—

რუსის გაზეთს „Новое Время"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა:

„ბ უ ხ ა რ ე ს ტ ი, 15 ივნისს. დღეს დილიდამ დაწყებული დუნაის დაყოლებლივ, ოლტენიციდამ კალაფატამდინ გაცხარებული სროლაა ზარბაზნისა. ჩვენებმა ოლტენიციდამ ტურტუკაის დაუშინეს ყუმბარები. ტულჩიდამ ჩვენი ჯარი სულინს უახლოვდება. რუსჩუკი და ჟურჟევო რამდენსამე ალაგას იწვიან ჩვენი ყუმბარებისაგან. ვიდდინიდამ ოსმალოებმა დაუშინეს ყუმბარები კალაფატში დაბანაკებულ რუმინიის ჯარს. რუსის ჯარები გადიან დუნაიზე."

—

კლადოვოდამ ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ დუნაის მარჯვენა ნაპირებიდამ თითქმის მუდამ ღამე და დღეც გადმოდიან დუნაიზე ნავებით ბაში-ბუზუკები და ჩერქეზებიო და ახლო-მახლო სოფლებს რუმინიისას სცარცვავენ და პირუტყვს ერეკებიანო.

# საქართველო

## დღიური

*** დიდოს ლეკებში არეულობის თაობაზე პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური დეპეშა, გაგზავნილი თფილისიდამ:

„პოლკოვნიკის ჩორჯაძის ატრიადი იყო გაგზავნილი დიდოში ენისლის, შადროს ციხისა და კუპრის-თავის მხრით. 12 ივნისს ამ ატრიადს დაეცნენ დიდოელები და მოგვიკლეს ათი კაცი, ამათში თ. ჩერქეზოვი და ამას გარდა დაგვიჭრეს 20, რომლების რიცხვში ურევია თ. ჩორჯაძე."

*** ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ახალქალაქიდამ არტაანამდინ ტელეგრაფის მავთული არის გაკეთებულიო და თვითონ არტაანში ტელეგრაფის სტანცია გაიმართაო.

*** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ერთმა პატიოსან ვაჭარმა, სახელად ა. კ—მა, რომელსაც ჰქონდა ჩვენს ბაზარში კარგი გაწყობილი დუქანი, რამდენიმე ათასის მანეთის საქონელი ერთის თვის განმავალობაში სრულიად გაჰყიდა და, ამ ომიანობის წყალობით, გადააქცია სულ ნაღდ ფულად. შემდეგ ამისა საქონლის მოტანა ველარ გაბედა, რადგანაც ომიანობა არის. ბევრი იფიქრა, რა საქმე დაიჭიროს, რომ უთანხოთ ფული მოიგოს. მეტი ვერაფერი იფიქრა და გამოიწერა თფილისიდამ რამოდენიმე ქალი და გამოაწყო მის დუქნის უკან სამრეცხაო და „პადვიჟნოი ზავედენია!" ხან ოზურგეთში აწარმოებს ამ „პადვიჟნოი ზავედენიასა" და ხან ატრიადში აგზავნის. ამბობენ, ამ ცოცხალი საქონლით ვაჭრობა უფრო ხელს აძლევსო."

*** გაზეთს „კავკაზში" იწერებიან, რომ წელს შამახიისაკენ და ლენქორანისაკენაც ძალიან კარგი მოსავლის პირი არისო.

## „დროების" კორრესპონდენცია

**თელავი, 18 ივნისს.** მართალია, ყველა ჩვენგანს მომეტებული ყურადღება აქვს მიქცეული ეხლანდელ რუს-ოსმალოს ომზე, მაგრამ მე ჩემის მხრით მგონია, რომ ამასთანავე უყურადღებოდ არ უნდა დავაგდოთ სხვა საჭიროება ჩვენის უეზდისა.

არა ომს არ შეუძლიან შემცირება ხალხისა ისე, როგორც უექიმობა ქლეტამს მას. ამ ფიქრით საჭიროთ დავინახე შევატყობინოთ, ის მიზეზი, რის გამოც სუფევს ამ გვარი მდგომიარობა.

ეს ყველამ კარგათ ვიცით, რომ როდესაც კაცი ავათ არის და ქვეშაგებად მდებიარებს, მაშინ თითონ ავათ-მყოფიცა და მისი მონათესავენიცა იმ სასოებით და იმედებით არიან ექიმზედა, რომ ჰგონიათ, რაც უნდა უკანასკნელი—იყოს ავათ-მყოფის სენი, მაინც-და-მაინც ექიმი უეჭველათ გაანთავისუფლებს არამთუ წამლობით, არამედ მარტო ნახვითაცო.

მაგრამ რა იმედით უნდა იმყოფებოდეს ის ხალხი, რომლის ექიმები თავის ვალის ასრულების მაგიერ, ზარმაცობაში ატარებენ თავის დროს? სწორეთ ამ გვარ მდგომიარობაში არიან ჩავარდნილი თელავის უეზდის მცხოვრებელნი. აი როგორ: თუ კაცის გაგზავნა მოუხდა ექიმთანა დილით, ანუ ნაშუადღევს, ოთხს ანუ ხუთს საათზე, მაშინ კარის კაცი ხვდება წინა და ჰკითხამს მისი მოსვლის მიზეზსა; შეიტყობს რა ამას, მაშინ იგი ამაყად უპასუხებს, რომ ექიმი განსვენებაში ბრძანდებაო და აქვს სასტიკი ბძანებაო, რომ მისი გაფუფუნება არვინ შეიძლოსო; და თუ სხვა დროს შეემთხვა მისვლა მასთან ავათმყოფის კაცსა, მაშინ-ღა ეტყვის, ექიმი არის ამა და ამ პატიოსან კაცთანაო, ქალალდის სათამაშოთ ანუ ბაღშია, სადაც ერთს მშვენიერ ჩრდილოს მქონე ხის ქვეშ ზის და მიირთმევს კახურს წვენსო!

როცა ეს ცრუ კაცთ-მოყვარე უფალი ექიმი, ისტორიულ ხის ქვეშ მჯდომარე და გადმომჭვრეტი ბუნებისაგან მრავალ ფრათ შემკულ ადგილებისა, ალტაცებაში შევა ხსენებულ წვენით, ღმერთმა თქვენ მტერს დამართოს ის მწუხარება, რაც მწუხარება ამ დროს, ანუ ქალალდის თამაშობის დროს მასთან მისულ კაცს ემართება და უმეტესად ავათმყოფს ექიმისაგან უარის თქმით. პირველს უსქდება გული შახურებული ექიმის შეტევით, მეორე კი უარის თქმისაგან ხდება სიკვდილის მსხვერპლად.

ეს კიდევ არაფერი ამიტომა, რომ ამ შემთხვევაში აკლდება სახლობასა მხოლოდ ერთი სული. მაგრამ არის ხოლმე იმისთანა შემთხვევა, რომა სრულიად სახლობა ავათ-მყოფისა იღუპება, თუმცა ზოგიერთს ავათ-მყოფს, როდესაც მიიწვევენ, ექიმი ნახამს ხოლმე და წამალსაც მისცემს სამჯერ თუ ოთხჯერ, მაგრამ შემდეგ გამოიჩენს ერთს უსაჭიროეს სამსახურის საქმეს, რომელიცა ვითომც დაუყოვნებლად თხოულობს ასრულებასა და იმ მიზეზით ანებებს თავს ავათმყოფსა, რომელიც კარგავს ყოველ იმედებს და შედის სასოწარკვეთილებაში, ესეც იტანჯება მზგავსად პირველისა. ხანდისხან კი, სიცოცხლე გაქვთ, ეს უ. ესკულაპი შეიქნება ხოლმე უმორჩილესი მონა და მოსამსახურე. დაიარება ავათმყოფთან ხშირათ და რაკი შეატყობს, რომ იმას საშველი აღარ აქვს, მაშინ ურჩევს, რომ წაიყვანონ ან თფილისში, სადაც არიან მრავალნი გამოცდილნი ექიმები და ადვილათ გაანთავისუფლებენ სნეულებიდგან, ან გაიყვანონ სოფლათ ჰაერის გამოსაცვლელათ, და ამ მიზეზებით იშორებს თავიდგან. ეს საცოდავნიც ერწმუნებიან ექიმის ენას, იღებენ ვალს და შეუდგებიან ხოლმე ავათმყოფის დღის შემამცირებელ გზას, რომლის გამოც ხშირად, ნაცვლად სულდგმულ ავათმყოფისა, მოაქვთ შინ უსულო მცხედარი და ახლა უნდა მოუმზადონ უფრო მომეტებული საგძალი ახალი ვალის აღებით და გაგზავნონ საუკუნო გზას...

